შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი

03 სექტემბერი 2025 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 100-25

აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.19 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების“ მე-9 მუხლის 9.10 ქვეპუნქტის, (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 21 დეკემბერი №09-22 საოქმო გადაწყვეტილებით), „უმაღლესი განათლების შესახებ“ 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 01 სექტემბერი №95-25 ბრძანებით შექმნილი დროებითი საკონკურსო კომისიის საოქმო გადაწყვეტილებისა (#1-25; 02.09.2025) და შუამდგომლობის (N114; 2.09.2025) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 22 ივლისის N81-25 ბრძანებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსისა და 2025 წლის 02 სექტემბრის (ოქმი №1-25) ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემდეგ სპეციალობებზე დაინიშნოს:
   1.1. გიორგი თავაძე - პროფესორის აკადემირ თანამდებობაზე გამოყენებითი ფილოსოფიისა და განათლების ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით;
   1.2. გურამ ანანეიშვილი - ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონფლიქტოლოგიის მიმართულებით;
   1.3. ნინო ლაცაბიძე - ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე განათლების მეცნიერების მიმართულებით.

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება დადგენილი წესით და ამ ბრძანებით განსაზღვრული ცვლილებების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ასახვა.
3. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება (ციცინო ხითარიშვილი).
4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობის ორგანოში ბრძანების ოფიციალური წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში (მის.: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3).

რექტორი ა. ... აკაკი ჭელიძე

ულუხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი * ULUKHAN-SABA ORBELIANI UNIVERSITY LLC * GEORGIA * 204426834 *